

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურმა საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობამ (გზების გაყვანამ, სტიქიური პროცესებისადმი სარისკო ტერიტორიების ათვისებამ, ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობამ, რელიეფის ანთროპოგენიზაციამ) და ბუნებრივმა პირობებმა გამოიწვია გარედინამიკური პროცესების, მათ შორის ღვარცოფების გააქტიურება, რასაც თან ახლავს ყოველწლიურად მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და არც თუ ისე იშვიათია ადამიანის დაღუპვის ფაქტები. რეგიონის შესახებ არსებული მასალის შესწავლის საფუძველზე ვნახეთ, რომ ღვარცოფები გააქტიურებულია ისეთ ზონებში, სადაც წინა წლებში მეტ-ნაკლებად სტაბილურობა ნაჩუნდებოდა. აქედან გამომდინარე, რეგიონის გარედინამიკური პროცესების შესწავლა მნიშვნელოვანია, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც რეგიონში ბოლო 15-20 წელია მსგავსი ტიპის შესწავლა არ გაკეთებულა.